სსიპ სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

05 / ივლისი / 2024 წ.

KA021789922478824

№ **1/1-3695**

ბრძანება

ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ცოცხნარაში მდებარე 5454.00 კვ.მ. და 5802.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/სარეალიზაციო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო თანხის/საწყისი სარეალიზაციო საფასურის, სარგებლობაში გადაცემის საფასურისა და საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N570 დადგენილების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ანაზღაურებისა და ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის N393 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის N391 დადგენილების, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის N1-1/172 ბრძანებით დატკიცებული წესისა და „სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის“ უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის N1-1/1835 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ცოცხნარაში მდებარე 5454.00 კვ.მ. და 5802.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: N69.10.54.725 და N69.10.54.726) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით, ხოლო საწყისი საპრივატიზებო თანხა განისაზღვროს 3 200 000 ლარის ოდენობით.

2. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბე-ს ოდენობა განისაზღვროს 320 000 ლარით, ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა 5000 ლარით.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;

ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 12 (თორმეტი) თვის ვადაში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან (შემდგომში - საავტომობილო გზების დეპარტამენტი) და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების განვითარება (რაც მოიცავს (მაგრამ შესაძლოა არ შემოიფარგლებოდეს) № 69.10.54.725 და № 69.10.54.726 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ჯამურად არანაკლებ 141 (ას ორმოცდაერთი) ერთეული სავაჭრო სივრცის (მათ შორის, არანაკლებ 112 (ას თორმეტი) თონე/ნაზუქის სავაჭრო სივრცე და 29 (ოცდაცხრა) ჰამაკის სავაჭრო სივრცე), ასევე, №69.10.54.725 და №69.10.54.726 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ თითოეულ უძრავ ქონებაზე ერთდროულად არანაკლებ 5 (ხუთი) ავტომობილზე გათვლილი ავტოსადგომის,

არანაკლებ ორი ერთეული სამ კაბინიანი სველი წერტილის ((3 (სამი) - ქალის და 3 (სამი) - მამაკაცის), რომელიც ადაპტირებული უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და თითოეული მოიცავდეს ბავშვთა მოსაწესრიგებელ/გამოსაცვლელ ოთახს) მოწყობას) და ამავე ვადაში ამავე პუნქტით გათვალისწინებული სავაჭრო სივრცეების საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებული პირებისათვის და პირობებით, 1 (ერთი) ლარად, არანაკლებ 24 (ოცდაოთხი) თვის ვადით, იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემა;

გ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 12 (თორმეტი) თვის ვადაში, საერთაშორისო მნიშვნელობის - თბილისი-სენაკი-ლესელიძის E-60 ავტომაგისტრალის 121-128 კმ შორის არსებული გზის/ ავტობანის მონაკვეთის მომიჯნავედ/მიმდებარედ, 2 (ორი) ერთეული მიწის ნაკვეთის (ერთი - ჩრდილოეთით, ხოლო მეორე - სამხრეთით, თითოეული არანაკლებ 2.5 ჰა ფართობის მქონე) ამავე საავტომობილო გზასთან დაერთების პროექტის შეთანხმება საავტომობილო გზების დეპარტამენტთან;

დ) ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებიდან არაუმეტეს 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეთანხმებით, ამავე პუნქტით გათვალისწინებული თითოეული უძრავი ქონების ან მისი ნაწილის განვითარება (რაც მოიცავს (მაგრამ შესაძლოა არ შემოიფარგლებოდეს) თითოეულ უძრავ ქონებაზე: ერთდროულად არანაკლებ 40 (ორმოცი) ავტომობილის (მათ შორის, არანაკლებ 20 (ოცი) მსუბუქი ავტომობილი, არანაკლებ 5 (ხუთი) ავტობუსი, არანაკლებ 10 (ათი) მიკრო ავტობუსი, არანაკლებ 5 (ხუთი) მისაბმელიანი ავტომატარებელი (სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალება)) გაჩერებაზე გათვლილი ავტოსადგომის მოწყობას, ISO 9001-2008 სტანდარტის შესაბამის ავტოგასამართ სადგურს, აგრეთვე, ავტომობილების ტექნიკური მომსახურების სივრცეს, ერთდროულად არანაკლებ 60 (სამოცი) ადამიანის მომსახურების შესაძლებლობის მქონე სწრაფი კვების ობიექტ(ებ)ს, სუპერმარკეტ(ებ)ს, ბავშვთა გასართობ კუთხეს, ATM ავტომატ(ებ)ის და სწრაფი გადახდის ტერმინალ(ებ)ის სივრცეს, ტურისტული საინფორმაციო ბუკლეტების განსათავსებელ და მგზავრთა საინფორმაციო სივრცეს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტ(ებ)ისა და ხელნაკეთი ნივთების სარეალიზაციო სივრცეს, აფთიაქს, არანაკლებ 2 (ორი) ერთეულ ათ კაბინიან სველ წერტილს (10 (ათი) - ქალის და 10 (ათი) - მამაკაცის), რომელიც ადაპტირებული უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და თითოეული მოიცავდეს ბავშვთა მოსაწესრიგებელ/გამოსაცვლელ ოთახს), შესაბამისი შენობა-ნაგებობების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღება და ავტოსადგომის, ავტოგასამართი სადგურის, ავტომობილების ტექნიკური მომსახურების სივრცის, კვების ობიექტ(ებ)ის, სუპერმარკეტ(ებ)ის, ბავშვთა გასართობი კუთხის, ATM ავტომატ(ებ)ის და სწრაფი გადახდის ტერმინალ(ებ)ის სივრცის, ტურისტული საინფორმაციო ბუკლეტების განსათავსებელი და მგზავრთა საინფორმაციო სივრცის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტ(ებ)ისა და ხელნაკეთი ნივთების სარეალიზაციო სივრცის, აფთიაქისა და სველი წერტილების ფუნქციონირების დაწყება;

ე) ამ პუნქტის „ბ-დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით, არანაკლებ 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარის ოდენობის ინვესტიციის (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინების გარეშე) განხორციელება;

ვ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 1 (ერთი) თვის ვადაში, პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის, მეშვეობით გამოუყენებელი სასარგებლო წიაღისეულის საკომპენსაციო თანხის - 98 208 (ოთხმოცდათვრამეტი ათას ორას რვა) ლარის გადახდა შესაბამის სახაზინო ანგარიშზე.

4. მყიდველი ვალდებულია შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინოს ამ ბრძანების მე-3 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინვესტიციის თანხის არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის ვადაც ამავე პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 4 (ოთხი) თვით და რომელიც მისი მოქმედების პერიოდში უნდა უზრუნველყოფდეს ამავე პუნქტის ,,ა“-,,ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულებას (მათ შორის მათი შეუსრულებლობიათვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას).

5.დამტკიცდეს საინფორმაციო საშუალებებში განსათავსებელი აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადება (თან ერთვის) და დაევალოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტს შესაბამისი განცხადების გამოქვეყნება კანონით დადგენილი წესით.

6. საპრივატიზებო ქონება განისაზღვროს სახელმწიფო მნიშვნელობის ქონებად.

7.წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

ხელმოწერილია/
შტამპით დასტურდება